ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა გელაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ქ. ბოლნისის №4 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 01 და 02 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 115 ბავშვისთვის, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შესაბამისი რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის შემთხვევაში. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ, ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და მითითებული იყო ექსპერტების მიერ რეკომენდირებული რაოდენობა (58), თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია გაითვალისწინა და ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას (115).

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო თავფურცელზე ნაცვლად „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა“ მითითებულია „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი“. ასევე, 4.5 კითხვარში მონიშნულია შეფასება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა სანიტარული და ჰიგიენური ნორმების მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების შესრულების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ლელა გოგმაჩაძემ აღნიშნა, რომ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით დაწყებული აქვთ მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:40

დასრულების დრო - 16:49

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების (ქ. ბოლნისის №4 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულებას (ქ. ბოლნისის №4 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 115-ით, ხოლო მიმდინარე პერიოდში, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული, საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე, დაწესებულებამ მომსახურება განახორციელოს არაუმეტეს 58 ბავშვისა.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 15 ივნისისა.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების (ქ. ბოლნისის №2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა გელაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ქ. ბოლნისის №2 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 03 და 04 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 170. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 170 ბავშვისთვის, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შესაბამისი რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის შემთხვევაში. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ, ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და მითითებული იყო ექსპერტების მიერ რეკომენდირებული რაოდენობა (101), თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია გაითვალისწინა და ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას (170).

ექსპერტმა, ლელა გელაშვილმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო თავფურცელზე ნაცვლად „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა“ მითითებულია „ადრეული

აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი". ასევე, 4.5 კითხვარში მონიშნულია შეფასება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ჯგუფში აღზრდელისა და აღმზრდელის თანაშემწეების რაოდენობის საკითხით.

ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა გელაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით, ოთხი თვის ვადაში, გათვალისწინებული ჰქონდა ჯგუფში ორი აღმზრდელის არსებობა.

საბჭოს წევრი, მაკა მათურაძე, დაინტერესდა სასმელ წყალთან დაკავშირებული საკითხებით. დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ლელა გომეჩაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს წყალი მიეწოდება ყოველდღიურად, თუმცა გრაფიკით. დაწესებულების სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფილია წყლის ორი ავზით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ სასმელი წყლის შესყიდვას. წყლის ავზების მოვლა-პატრონობას ახორციელებენ გაწერილი სტანდარტულ ოპერაციული პროცედურის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ლელა გომეჩაძემ აღნიშნა, რომ დამტკიცებული აქვთ საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა, რომლის შესაბამისადაც შეიძინეს შესაბამისი რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:10

დასრულების დრო - 17:17

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების (ქ. ბოლნისის №2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 170-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულებას (ქ. ბოლნისის №2 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით, ხოლო მიმდინარე პერიოდში, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული, საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე, დაწესებულებამ მომსახურება განახორციელოს არაუმეტეს 101 ბავშვისა.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 15 ივნისისა.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების (სოფ. რატევის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭოს წევრმა ნანა ათუაშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა გელაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების სოფ. რატევის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 15 და 16 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად,

დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 85. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 85 ბავშვისთვის, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შესაბამისი რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის შემთხვევაში. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ, ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და მითითებული იყო ექსპერტების მიერ რეკომენდირებული რაოდენობა (43), თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია გაითვალისწინა და ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას (85).

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო თავფურცელზე ნაცვლად „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა“ მითითებულია „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი“. ასევე, 4.5 კითხვარში მონიშნულია შეფასება „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოთ თავმჯდომარე, ეკეტრინე ლეჟავა, დაინტერესდა საასენიზაციო ორმოსთან დაკავშირებული ხარვეზის საკითხით.

სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტმა, მარიამ თურმანაულმა, დეტალურად აღწერა საასენიზაციო ორმოსთან დაკავშირებული ხარვეზი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკეტრინე ლეჟავა, დაინტერესდა, სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ლელა გოგმაჩაძემ აღნიშნა, რომ დასაქმებული ჰყავთ, როგორც ფსიქოლოგი ასევე, სპეციალური პედაგოგი და ენა-მეტყველების სპეციალისტი, რომლებიც ითანამშრომლებენ აღმზრდელებთან, განახორციელებენ ბავშვებზე დაკვირვებას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ მშობლის ინფორმირებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების (სოფ. რატევის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 85-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულებას (სოფ. რატევის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 85-ით.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 15 ივნისისა.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების (ქ. ბოლნისის №3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა გელაშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და

მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ქ. ბოლნისის №3 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 17 და 18 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 115 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოთ თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ეზოს მიმდებარედ არსებული, აზბესტის სახურავიანი, შენობის საკითხით.

ხარისხის ექსპერტმა, ლელა გელაშვილმა, აღნიშნა, რომ შენობა არ გამოიყენება დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწყებულია მუშაობა აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, მიმართული აქვთ მუნიციპალიტეტის მერიისთვის და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში განახორციელებენ შენობის დემონტაჟს.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა სასმელ წყალთან დაკავშირებული საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ლელა გოგმაჩაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს წყალი მიეწოდება ყოველდღიურად, თუმცა გრაფიკით. დაწესებულების სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფილია წყლის ორი ავზით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ სასმელი წყლის შესყიდვას. წყლის ავზების მოვლა-პატრონობას ახორციელებენ გაწერილი სტანდარტულ ოპერაციული პროცედურის შესაბამისად.

საბჭოთ თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა შრომით ხელშეკრულებებში არასაკონტაქტო საათების გაწერის საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწყებულია მუშაობა აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:50

დასრულების დრო - 17:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების (ქ. ბოლნისის №3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულებას (ქ. ბოლნისის №3 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 115-ით.

საბჭომ ავტორიზაციის IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 15 ივნისისა.

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის №2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ, განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ აღზრდის გაერთიანების დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან მიმართებით ჰქონდა თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ დამსწრეთათვის განმარტა, რომ 2026 წლის 8 ივნისს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილული იყო ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის №2 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხი. საბჭომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება, რადგან კითხვა-პასუხის ეტაპზე გადასვლისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ ჰქონდა მდგრადობის დოკუმენტი და საჭიროებდა ინფრასტრუქტურის მდგომარეობასთან დაკავშირებით დამაზუსტებელ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი წარმომადგენლისგან, ვინაიდან აღნიშნულ სხომას შესაბამისი პასუხისმგებელი პირი არ ესწრებოდა, საკითხის განხილვა გადაიდო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს სთხოვა დეტალური განმარტება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, განმარტა, რომ სენაკის №2 საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შეფასების მიზნით, დაწესებულების სტატუსის მაძიებელში, უკვე იმყოფებოდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი, რომელმაც შეისწავლა შენობა-ნაგებობის მდგომარეობა. ექსპერტმა ზეპირსიტყვიერად აღნიშნა, რომ შენობას უფიქსირდებოდა ზედაპირული ბზარები, რომლებიც არ წარმოადგენდა საფრთხეს შენობის მდგრადობის კუთხით და შენობის მდგრადობის დასკვნის მიღებისთანავე შეძლებდნენ, დასკვნის გაზიარებას ავტორიზაციის საბჭოს წევრებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:07

დასრულების დრო - 18:18

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის N2 საბავშვო ბაღის) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის

1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას (სენაკის №2 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 15 ივნისისა.

მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის №4 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, რონა პერტიამ, განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან მიმართებით ჰქონდა თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ დამსწრეთათვის განმარტა, რომ 2026 წლის 8 ივნისს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილული იყო ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის №4 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხი. საბჭომ ვერ მიიღო გადაწყვეტილება, რადგან კითხვა-პასუხის ეტაპზე გადასვლისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ ჰქონდა მდგრადობის დოკუმენტი და საჭიროებდა ინფრასტრუქტურის მდგრადობასთან დაკავშირებით დამაზუსტებელ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი წარმომადგენლისგან და ვინაიდან აღნიშნულ სხომას შესაბამისი პასუხისმგებელი პირი არ ესწრებოდა, საკითხის განხილვა გადაიდო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს სთხოვა დეტალური განმარტება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბადრი ქუთელიამ, განმარტა, რომ სენაკის №4 საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შეფასებისათვის დაწესებულების სტატუსის მაძიებელში უკვე იმყოფებოდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენელი, რომელმაც შეისწავლა შენობა-ნაგებობის

მდგომარეობა. ექსპერტმა ზეპირსიტყვიერად აღნიშნა, რომ შენობას უფიქსირდებოდა ზედაპირული ზარები, რომლებიც არ წარმოადგენდა საფრთხეს შენობის მდგრადობის კუთხით და შენობის მდგრადობის დასკვნის მიღებისთანავე შეძლებდნენ მის გაზიარებას ავტორიზაციის საბჭოს წევრებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:25

დასრულების დრო - 18:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის №4 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 90 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების (სენაკის №4 საბავშვო ბაღის) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

საბჭომ ავტორიზაციის I, II და IV სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 15 ივნისისა.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 18:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და

განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

თ. მიქვილიძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და
განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე

